ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი

ქ. თბილისი 7 ოქტომბერი, 2016 წ.

მემორანდუმი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - შემოსავლების სამსახურსა (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) და სს „თიბისი ბანკს“ (შემდგომში - ბანკი) შორის (შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი) ურთიერთშეთანხმებას ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

ბანკს განზრახული აქვს პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მოხდება საქართველოში არსებული ***გადასახადის გადამხდელი სუბიექტების*** შესახებ ინფორმაციის დამუშავება და აგრეგირებული სტატისტიკის სახით ვებ-გვერდზე განთავსება.

მხარეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოში მეწარმეობის განვითარებას და ორივე მხარის ინტერესიდან გამომდინარე, თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობაზე, რაც ითვალისწინებს მოსახლეობისთვის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით აგრეგირებული ინფორმაციის მიწოდებას. **მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:**

მუხლი 1. ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის მიზანი

1. ამ მემორანდუმის მიზანია მხარეთა თანამშრომლობის ფარგლებში შემოსავლების სამსახურის მიერ ინფორმაციის მიწოდება ბანკისთვის, ინტერნეტში ვებ-გვერდზე განსათავსებლად.
2. პროექტის ფარგლებში, შემოსავლების სამსახური ბანკს მიაწვდის ვებ-გვერდზე განსათავსებელ ინფორმაციას სპეციალური „ვებ სერვისის“ სახით, რომლის შექმნასთან და შემდგომ მხარდაჭერა/ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახური საკუთარი რესურსით.
3. ბანკი უფლებამოსილია, ვებ-გვერდზე მიუთითოს, რომ მოწოდებული ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს შემოსავლების სამსახური.
4. შემოსავლების სამსახურის მიერ ამ მემორანდუმის ფარგლებში მიწოდებული/ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანაცვლოდ, ბანკს არ ეკისრება საფასურის გადახდის ვალდებულება.
5. შემოსავლების სამსახურის მიერ, ბანკისთვის გადაცემული ინფორმაცია იქნება აგრეგირებული და კოდირებული (პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე), იმისათვის რომ დაცული იყოს პირის პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება.
6. შემოსავლების სამსახურის მიერ გადაცემული ინფორმაცია არ არის კონფიდენციალური, პერსონალური მონაცემების შემცველი და ბანკს არ ეკისრება მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება.

თიბისი ბანკი TBC BANK 3 JSC "TBC BANK" 204845910

7. შემოსავლების სამსახური არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს რაიმე სახის ინფორმაცია ან/და ანგარიში ბანკის მიერ მიღებული ინფორმაციის და მისი გამოყენების შესახებ.

8. შემოსავლების სამსახურის მიერ წინასწარ მოხდება ინფორმაციის შეზღუდვა გეოგრაფიულ არეალზე, რაც გულისხმობს საქართველოს დაყოფას 500მ სიგრძის გვერდის მქონე კვადრატებად, რომლის მიხედვითაც მოხდება ინფორმაციის აგრეგაცია.

9. შემოსავლების სამსახური გეოგრაფიული არეალის და რაოდენობრივი შეზღუდვის გათვალისწინებით, მონაცემების აგრეგაციას მოახდენს სამი მასშტაბის დონის პროპორციულად. პირველი დონე გულისხმობს მონაცემების აგრეგაციას 500მ სიგრძის გვერდის მქონე კვადრატზე; მეორე დონე გულისხმობს მონაცემების აგრეგაციას 1500მ სიგრძის გვერდის მქონე კვადრატზე; მესამე დონე გულისხმობს მონაცემების აგრეგაციას 2500მ სიგრძის გვერდის მქონე კვადრატზე. იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ ამ კვადრატში არ აღმოჩნდება კონკრეტული საქმიანობის სფეროს კოდის მატარებელი შვიდი ან მეტი სუბიექტი, მაშინ არ მოხდება წარმოდგენილ გეოგრაფიულ არეალზე მონაცემების აგრეგაცია და ბანკისთვის მიწოდება.

10. შემოსავლების სამსახურის მიერ პროექტის ფარგლებში ბანკისთვის მიწოდებული ე.წ. „ვებ სერვისი" წარმოადგენს სისტემას, რომელსაც აქვს 3 ფილტრი და 5 ტიპობრივი მონაცემი, რომლებიც თავის მხრივ წარმოდგენილია 4 ნომინალური ცვლადის სახით:

<u>10.1 ფილტრები:</u>

10.1.1 კატეგორია - საქმიანობის სფეროები (მოიცავს საქმიანობის ნებისმიერ ფორმას);

10.1.2 ლოკაცია/მასშტაბის დონე - ფიქსირებული გეოგრაფიული კვადრატის მიხედვით მინიმალური შეზღუდვა არის ერთი და იმავე საქმიანობის სფეროს შვიდი სუბიექტი ერთ კონკრეტულ კვადრატში;

10.1.3 დრო - მონაცემები წარმოდგენილია ბოლო ორი წლის თვეების მიხედვით.

<u>10.2 ტიპობრივი მონაცემი:</u>

10.2.1 გადასახადის გადამხდელი ბიზნეს სუბიექტების ჯამური რაოდენობა;

10.2.2. გადასახადის გადამხდელი ბიზნეს სუბიექტების ჯამური ბრუნვა;

10.2.3 გადასახადის გადამხდელი ბიზნეს სუბიექტების ჯამური მოგების გადასახადი;

10.2.4 გადასახადის გადამხდელი ბიზნეს სუბიექტების ჯამური განაცემები;

10.2.5 გადასახადის გადამხდელი ბიზნეს სუბიექტების ჯამური თანამშრომლების რაოდენობა.

<u>10.3 ნომინალური მონაცემი თითოეული ტიპისთვის:</u>

10.3.1 ჯამური რიცხვი;

10.3.2 საშუალო არითმეტიკული;

10.3.3 მედიანა;

10.3.4.სტანდარტული გადახრა.

მუხლი 2. შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს ამ მემორანდუმით გათვალისწინებული ინფორმაციის უწყვეტად და შეუფერხებლად მიწოდებას. შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის განახლებას, შესაბამისად, ბანკი ავტომატურად დაიშვება განახლებულ ინფორმაციაზე.

ტიბისი ბანკი
TBC BANK
3
JSC "TBC BANK"
204854950

მუხლი 3. წინამდებარე ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი არ ცვლის იმ პასუხისმგებლობასა და უფლებამოსილებას, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობითა და ორივე მხარის დებულებებით.

მუხლი 4. ურთიერთშეთანხმების მემორანდუმში შეიძლება შევიდეს ცვლილება მხარეების წერილობითი შეთანხმებით, დამატებითი ოქმ(ებ)ის სახით, რომელიც გახდება ამ ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელი ნაწილი. ცვლილებები ძალაში შევა ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 5. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 1 წლის ვადით. თუ ერთი წლის გასვლამდე 2 კვირით ადრე რომელიმე მხარე არ შეატყობინებს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე, მემორანდუმი ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად იმავე ვადითა და პირობებით. აღნიშნული წესი მოქმედებს ყოველ ჯერზე ყოველი ერთი წლის გასვლისას.

მუხლი 6. თითოეულ მხარეს შეუძლია ვადაზე ადრე შეწყვიტოს მემორანდუმი მეორე მხარისათვის ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გზით.

მუხლი 7. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლიარად, რომელიც გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები

სს „თიბისი ბანკი“	შემოსავლების სამსახური
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595	საიდენტიფიკაციო ნომერი: 204525585
ტელეფონის ნომერი: 2272727	ტელეფონის ნომერი: 2261116
მის: ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N7	მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16
ნიკოლოზ ქურდიანი	გიორგი თაბუაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე	შემოსავლების სამსახურის უფროსი